ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

შპს მომავლის ბიზნეს სკოლა
შეფასების თარიღ(ებ)ი:
15, 16 და 17 თებერვალი 2023 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი
15.03.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: Maka Tukvadze Digitally signed by Maka Tukvadze Date: 2023.03.15

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: Elene Digitally signed by Elene Kalandadze Date: 2023.03.15

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
დაწესებულების სახელწოდება	შპს მომავლის ბიზნეს სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	ს/კ: 430033849

ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს:	
დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	√
საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	
საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა	

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი ზესტაფონი
იურიდიული მისამართი	ქალაქი ზესტაფონი, დავით გურამიშვილის ქუჩა № 32

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ზესტაფონი, დავით გურამიშვილის ქუჩა № 32
საფოსტო ინდექსი	2000
დაწესებულების ვებ-გვერდი	fbs.edu.ge
დაწესებულების ელ-ფოსტა	**fbs.edu.ge@gmail.com**
დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**(+995) 0492 24 02 02**
ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი)	ნინო გაბრიჭიძე
ტელეფონის ნომერი/ფაქსი	**555 75 41 69**
ელ-ფოსტა	**gabrichidzenino3@gmail.com**

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი ბრძანება MES 8 23 0000166799; 13/02/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	15.02.2023--17.02.2023
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი)	მაკა ტუკვაძე
წევრი (სახელი, გვარი)	ელენე კალანდაძე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IV. ვიზიტის შეჯამება

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი/ქვესტანდარტი		ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი	სტანდარტი დაკმაყოფილებულია	სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული
1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☒	☐
1.1	სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	**მუხლი 6/ პუნქტი ა)**	☒	☐
1.2	სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	**მუხლი 6/ პუნქტი ბ)**	☒	☐
1.3	სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით.	**მუხლი 6/ პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის			
1.4	სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☒	☐
1.5	შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილების შესაძლებლობით	**მუხლი 6/ პუნქტი ე)**	☒	☐
1.6	შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☒	☐
2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1	დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☒	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)**	☒	☐
2.1.2	საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	**მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)**	☒	☐
2.1.3	სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	**მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.1.4	სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	**მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)**	☒	☐
2.2.	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☒	☐
2.3	სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**	☒	☐
2.4	სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**	☒	☐
2.5	სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას			
2.6	სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	მუხლი 7 / პუნქტი ვ)	☒	☐
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)	☒	☐
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ)	☒	☐
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ)	☒	☐
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ)	☒	☐
2.6.5	კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე	მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე)	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს			
2.7	სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	**მუხლი 7/ პუნქტი ზ)**	☒	☐
2.8	შემუშავებულია სკოლის	**მუხლი 7/**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	**პუნქტი თ)**		
2.9	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა	**მუხლი 7/ პუნქტი ი)**	☒	☐
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**	☒	☐
3.1	სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**	☒	☐
3.2	სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	**მუხლი 8 / პუნქტი ბ)**	☒	☐
3.3	სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☒	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა			
3.4	მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	**მუხლი 8/ პუნქტი დ)**	☒	☐
3.5	სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	**მუხლი 8/ პუნქტი ე)**	☒	☐
3.6	სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას	**მუხლი 8/ პუნქტი ვ)**	☒	☐

V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტი	*1.1.*	
	1.2.	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*2.2.ბ*	
სტანდარტი	*ადამიანური რესურსი*	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VI. რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.

სტანდარტი	*საგანმანათლებლო პროგრამები*	*რეკომენდაცია*
ქვესტანდარტი	*1.4.*	
სტანდარტი	*მატერიალური რესურსი*	
ქვესტანდარტი	2.6 (ა) 2.8	<u>სკოლამ უზრუნველყოს, სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის №1673 მიწერილობის შესაბამისად განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება.</u> <u>სკოლამ შეიმუშაოს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნები, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდები, აქტივობები, პასუხისმგებელი სტრუქტურა/ პირები, ასევე განსაზღვრული იქნება სტრატეგიული გეგმის შეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმები.</u>
სტანდარტი	*ადამიანური*	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	რესურსი	
ქვესტანდარტი	*3.1.*	

VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი	შპს ,,მომავლის ბიზნეს სკოლა“ აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ. სკოლამ 2022 წლის 18 აგვისტოს, იტალიის რესპუბლიკის, აბრუცოს რეგიონის ქალაქ კასალბორდინოს „ევროპის განათლებისა და კულტურის ცენტრთან“ გააფორმა მემორანდუმი, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების დამყარებას საქართველოსა და ევროპის სხვადასხვა ქვეყანას შორის. ასევე გაფორმდა სამმხრივი თანამშრომლობის მემორანდუმი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო სკოლებთან, მომავლის ბიზნეს სკოლის ინიციატივით. აღსანიშნავია სკოლის აქტიური ჩართულობა საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტში eTwinning, რომლის ფარგლებშიც სკოლამ მიიღო ეროვნული და ევროპული ხარისხის ნიშანები. სკოლის მმართველი გუნდი განსაკუთრებით ზრუნავს პერსონალის პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე. გამოხატავს ფინანსურ მზაობას სხვადასხვა პროექტისა თუ აქტივობის განსახორციელებლად და მხარს უჭერს ყველა წამოწყებას, რომელიც აამაღლებს სკოლაში სწავლა-სწავლების ხარისხს. 2019 წელს სკოლა ჩართული იყო ნიკო კეცხოველის პრემიის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებში და მოიპოვა „წლის აღმოჩენის“ ტიტული. მაღალკვალიფიციური კადრის შესანარჩუნებლად და მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლის დამფუძნებლის გადაწყვეტილებით, მასწავლებელთა საათობრივი ანაზღაურება და სახელფასო დანამატი გაიცემა სახელმწიფოს მიერ შემოთავაზებული ანაზღაურების პრინციპით. წარჩინებული მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და შემდგომი განვითარებისათვის სკოლას დაწესებული აქვს დირექტორის სტიპენდია. „მომავლის ბიზნეს სკოლის“ მე-11 კლასის მოსწავლემ, შექმნა ჭადრაკის ელექტრონული სასკოლო-სასწავლო პროგრამა. სკოლა აცხადებს მზადყოფნას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელი შეუწყოს აღნიშნული პროგრამის დანერგვას. ბიზნესის უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით, I -VI კლასებისათვის სკოლას შესყიდული აქვს პროგრამა „Junior Achievement – Georgia”

დაწესებულების მისია	შპს „მომავლის ბიზნეს სკოლა“ არის საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც სწავლა-სწავლების პროცესს წარმართავს ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, მიზნად ისახავს მაღალი აკადემიური უნარების, მოაზროვნე, ეროვნულ და გლობალურ ღირებულებებზე დაფუძნებული თაობების აღზრდას.

VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა	2017 წლის 8 ივნისის ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნაში წარმოდგენილი შენიშვნები და მითითებები სკოლამ გაითვალისწინა. კერძოდ: ქვესტანდარტი 2.1 (ა) საჯარო რეესტრში დარეგიტრირებულია იჯარის ხელშეკრულება ქვესტანდარტი 3.2 მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. ყველა პედაგოგს აქვს შესაბამისი სტატუსი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 220	ექსპერტი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტი არ ეთანხმება ☐	

X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

საგანმანათლებლო პროგრამები

1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი	შპს ,,მომავლის ბიზნეს სკოლის“ მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმა დამტკიცებულია სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე 2022 წლის 6 სექტემბერს და მოიცავს შემდეგ თავებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

მიმოხილვა და ანალიზი	• შესავალი • სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპები და საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება • საგანმანათლებლო რესურსები • ინკლუზიური განათლება • შეფასების სისტემა • სავალდებულო, არჩევითი და პრიორიტეტული საგნები **სასკოლო სასწავლო გეგმის დანართებს წარმოადგენს:** • სასწავლო კალენდარი; • გაკვეთილების განრიგი; • სასკოლო საათობრივი ბადე, საგნის პედაგოგთა საათობრივი დატვირთვა; • სადამრიგებლო პროგრამის კონცეფცია; • გრიფირებულ სახელმძღვანელოთა ნუსხა; • დამხმარე სახელმძღვანელოთა ნუსხა; • ინკლუზიური განათლების დებულება და პროგრამა; • შემაჯამებელ დავალებათა მინიმალური რაოდენობა; • დისტანციური გაკვეთილების ჩატარების განრიგი; • შეფასების რუბრიკის ნიმუშები. **სასკოლო სასწავლო გეგმის შესავალი-** წარმოდგენს სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, ფასეულობების, ზოგადი განათლების საფეხურებებს და მისიას საფეხურების მიხედვით, ასევე განსაზღვრავს სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნებს, რომელიც თანხვედრაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან. სასკოლო გეგმის მიხედვით, სკოლაში სწავლა-სწავლება მოიცავს სამ საფეხურს და გულისხმობს თორმეტწლიან სწავლებას. **სასწავლო წლის კალენდარი-**განსაზღვრავს სასწავლო წლის დაწყება-დასრულებას; არდადეგების რაოდენობა-ხანგრძლივობას და იდენტურია ესგ-ით განსაზღვრული შესაბამისი საკითხების. სკოლაში სასწავლო პროცესი იწყება 9:00 საათზე, გაკვეთილების ხანგრძლივობა: I კლასელებისთვის განისაზღვრება 35 წთ, მეორე კლასელებისათვის-40წთ, III-XII კლასში 45 წუთით, გაკვეთილებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შორის შესვენებები 5 წუთი, მესამე, მეექვსე და მეშვიდე გაკვეთილის შემდეგ დიდი დასვენება 10 წუთი. სკოლა, I-IVკლასის მოსწავლეების უზრუნველყოფს სადილით, ასევე ფუნქციონირებს ბუფეტი. **დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება-** სკოლაში გათვალისწინებულია გახანგრძლივებული, კლუბური და წრეობრივი მუშაობა დღის მეორე ნახევარში 14:00 სთ-დან 16:00 სთ-მდე. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები და კლუბები: • I – VI კლასები ბიზნეს უნარ-ჩვევების წრე თვეში 1 სთ. • III – VI კლასები ხელოვნების მოყვარულთა წრე კვირაში 1 სთ • I - IV _ კლასები _ მარჯვე ხელების წრე. კლუბები: • ინტელექტ-კლუბი _ კვირაში 1 სთ; • დებატკლუბი _ კვირაში 1 სთ; მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით ფუნქციონირებს საგნობრივი წრეები ესგ-ით განსაზღვრულ სავალდებულო საგნებში კლასების მიხედვით. **მოსწავლეთა რაოდენობა-** მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა თითოეულ კლასში განსაზღვრულია 17 მოსწავლით, დაუშვებელია მოსწავლეთა გადანაწილება კლასებში აკადემიური მოსწრების მიხედვით. **საათობრივ ბადე-**სკოლას შემუშავებული აქვს ესგ-ს 56-ე მუხლით განსაზღვრული საათობრივი ბადის პირველ მოდელი, რომელიც მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ კვირეულ საათობრივ დატვირთვას. საათობრივ ბადეში წარმოდგენილია ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. აღსანიშნავია, რომ მეორე უცხოური ენის სწავლებასთან დაკავშირებით არჩევანი გაკეთდა რუსულსა და ფრანგულ ენებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შორის. მშობლებმა ერთხმად აირჩიეს რუსული ენის სწავლება. (მე-4 კლასის მშობელთა კრების სხდომის ოქმი № 3) **საგნობრივი კათედრები**-სკოლაში შექმნილია შვიდი საგნობრივი კათედრა, რომლებიც აერთიანებენ საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს. გაწერილია კათედრისა და კათედრის თავმჯდომარის ფუნქციები. **სადამრიგებლო პროგრამა**-განსაზღვრავს დამრიგებლის მუშაობის მიზნებს და მოვალეობებს. **საგანამანათლებლო რესურსებით** წარმოდგენილია სასწავლო წლის განმავლობაში გამოსაყენებელ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსის ჩამონათვალს კლასების, საფეხურების და საგნების მიხედვით. გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოთა ნუსხას, საგნობრივ კათედრებთან შეთანხმებით, ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო. არჩეული სახელმძღვანელოების სია სქულბუქის მეშვეობით ეგზავნება მოსწავლის მშობელს/მეურვეს. **ინკლუზიური განათლება**- ინკლუზიური განათლება ეს არის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილია განათლების ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიღება. **შეფასების სისტემა** - განსაზღვრავს მოსწავლის შეფასების მიზებს, პრინციპებს და ამცანებს, შეფასების ტიპებს, აკადემიური მიღწევების დონეებს, შეფასების კომპონენტებს, შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, ქულების გამოანგარიშების წესს, კლასისა და საფეხურის დაძლებას, გამოცდის ტიპებს, მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარებას. **სავალდებულო, არჩევითი და პრიორიტეტული საგნები**_ წარმოდგენილიაა კლასების მიხედვით ესგ-ით განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სავალდებულო და არჩევითი საგნები. არჩევითი საგნებია: • ასტრონომია - Xკლასი • ხაზვა - XI კლასი; • ეთნოგრაფია - XIIკლასი სასკოლო სასწავლო გეგმაში გაწერილი იყო ხაზვის სწავლება მე-10 და მე-11 კლასებში. სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერის განმარტებით მე-11 კლასი სწავლობს ხაზვას, რაც დასტურდება სასკოლო ცხრილით, ხოლო მე-10 კლასი ამ ეტაპზე არ ჰყავთ. მე-10 კლასში განსაზღვრულია ასტრონომიის სწავლება. ჩანაწერი ,,ხაზვა“ მე-10 კლასში ტექნიკური ხავეზია და გასწორდა ვიზიტის დროს. სასკოლო სასწავლო გეგმის 23 მუხლით, საბაზო და საშუალო საფეხურზე კლასების მიხედვით განსაზღვრულია სპორტის სახეობები. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სტანდარტის დასაკმაყოფილებლად საგანში „ფიზიკურ აღზრდა და სპორტში“ გათვალისწინებულია სპორტის სხვადასხვა (ინდივიდუალური, სათამაშო (გუნდური, ინდივიდუალური), ორთაბრძოლები) სახეობაში ვარჯიში. მათი მრავალფეროვანი არჩევანი ყველა მოსწავლეს ერთნაირად აძლევს საშუალებას, განივითარონ და გამოავლინონ თავიანთი ფიზიკური უნარები. სპორტის მასწავლებელთან გასაუბრებით და წარმოდგენილი სპორტის საგნობრივი კურიკულუმით/თემატური მატრიცებით დგინდება, რომ სკოლაში სპორტის სწავლება მიმდინარეობს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაყრდნობით (შიდა სასკოლო ფესტივალი, პროექტი-მავნე ჩვევებზე უარის თქმა, ქართველი ოლიმპიელები). სკოლამ, აღნიშნული ჩანაწერი ვიზიტის დროს ამოიღო სასკოლო სასწავლო გეგმიდან. სკოლის მიერ შემუშავებული სასკოლო სასწავლო გეგმის შესწავლით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების შედეგად, შეიძლება ითქვას, რომ შპს მომავლის ბიზნეს სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმა • სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრება • სპორტის მასწავლებელთან გასაუბრება • პედაგოგიური საბჭოს ოქმი №1; 06/09/2022 • პედაგოგიური საბჭოს ოქმი №2; 16/02/2023 • მშობელთა კრების სხდომის ოქმი № 3;15/06/2022 • სკოლის ვებგვერდი
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასკოლო გეგმით განსაზღვრული დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის მისიის, სასკოლო სასწავლო გეგმის სწავლა-სწავლების მიზნების, საგნობრივი კათედრების, დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების, სადამრიგებლო პროგრამების გაცნობამ და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებამ ცხადყო, რომ სკოლა ორიენტირებულია დააკმაყოფილოს სამივე საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი შვიდი კათედრა. • დაწყებითი საფეხურის კათედრა • საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა • საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრა • ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა • უცხოური ენების კათედრა • ზუსტმეციერებათა კათედრა • სპორტისა და ესთეტიკის კათედრა კათედრაზე მუშაობა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სამოქმედო გეგმის მიხედვით. პორტფოლიოებში წარმოდგენილია საგნობრივი კურიკულუმები/თემატური გეგმები, სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების სქემები, კათედრის სხდომის ოქმები, შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა და განრიგი, შემაჯამებელი/კომპლექსური დავალების ნიმუშები, ანალიზები და მოსწავლეთა ნამუშევრები. ვიზიტის დროს პედაგოგებმა ისაუბრეს კათედრის მუშაობის შესახებ, აღნიშნეს, რომ კათედრებზე ხდება გამოცდილების გაზიარება, ჩატარებული გაკვეთილების განხილვა და რეკომენდაციების მიცემა. ისაუბრეს კათედრების ფარგლებში ჩატარებულ ინტეგრირებულ გაკვეთილებზე და მოსწავლეთა აკადემიური შედეგების გაუმჯობესების მიზნით განორციელებულ ღონისძიებებზე. სკოლაში მიმდინარე კლუბური და წრეობრივი მუშაობა უზრუნველყოფს მოსწავლეებში გამჭოლი უნარების და კომპეტენციების განვითრებას. საგნობრივი წრეები კი ხელს უწყობს მყარი, დინამიკური ცოდნის მიცემას, სასწავლო მასალის ეტაპობრივად და მრავალმხრივად მიწოდებას. სკოლის ვებგვერდიდან ჩანს, რომ სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერით მოსწავლეები მონაწილეობენ სხვადასხვა კონკურსებში და პროგრამებში. 2022 წელს სკოლის მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღეს და გაიმარჯვეს ინტელექტ-ჩემპიონატში „ეტალონი“. სკოლა აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტში eTwinning. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლის მე-7 კლასმა განახორციელა სასკოლო პროექტი „ და ამ პატარა მიწის ნაგლეჯზე“ ... პროექტის ფარგლებში მოსწალეები უკეთ გაეცნენ საკუთარი ქვეყნის ღირსშესანიშნაობებს. მე-2 კალსის პედაგოგმა მშობლების ჩართულობით განახორციელა პროექტი-,,მეფუტკრეობა და მევენახეობა“. პროექტი ეხმიანება მდგრადი განვითარების მიზნებიდან ორ ყველაზე მნიშვნელოვან მიზანს: სიღარიბის ყველა ფორმისა და შიმშილის აღმოფხვრა. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა დაამზადეს საინფორმაციო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ბუკლეტი ,,ქართული ფუტკარი“, სკოლის ბიბლიოთეკას გადასცეს მათ მიერ შექმნილი ,,ქართული ვაზის ჯიშების კატალოგი“. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმართველობა. წარმოდგენილია თვითმართველობის დებულება და სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გაგმაში გაწერილია წლის განმავლობაში ჩასატარებელი აქტივობები. აღსანიშნავია, რომ თვითმართველობის ინიციატივით მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ სახვადასხვა სპორტულ და შემეცნებით ღონისძიებებში. სკოლის სადამრიგებლო პროგრამა ორიენტირებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ისეთი უნარების და კომპეტენციების განვითარებას, როგრიცაა პიროვნული და მორალური თვისებები, გარემოსდაცვითი კულტურის და ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიცაზია, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სასკოლო გარემოს შექმნა, მოქალაქეობრივი და პატრიოტული ცნობიერების ამაღლება. სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, თითოეულ დამრიგებელს შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამა. სემესტრული ანგარიშებიდან ჩანს, რომ დამრიგებლები სამოქმედო გეგმის მიხედვით გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა თემატურ ღონისძიებებს და პროექტებს, სადამრიგებლო საათის ფარგლებში განიხილავენ საფეხურების მიხედვით განსაზღვრულ თემებს და ტარდება მშობელთა კრებები. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ სასკოლო გეგმა პასუხობს სამივე საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა • კათედრის პორტფოლიოები • დამრიგებლის პორტფოლიოები • დამრიგებლის სემესტრული ანგარიშები • მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება • თვითმართველობის სამოქმედო გეგმა • სკოლის ვებგვერდი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის მე-4 თავი მოიცავს ინკლუზიური განათლების ზოგად კონცეფციას. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების დებულება და პროგრამა. დებულებით განსაზღვრულია ინკლუზიური განათლების ძირითადი პრინციპები, სსსმ მოსწავლის სკოლაში მიღება, სკოლის უფლება-ვალდებულებები, სასკოლო გარემოს მოწყობა, სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება, გაცდენები, ინგლუზიური განათლების მართვა სკოლაში და მართვაში ჩართული პირების ფუნქცია-მოვალეობები. ინკლუზიური განათლების პროგრამით წარმოდგენილი აქტივობები ხელს უწყობს სსსმ მოსწავლის სრულყოფილ ჩართვას სასწავლო პროცესში. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე. სსსმ მოსწავლის პორტფოლიო მოიცავს: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების ფორმას; ბრძანებას (№ 01-05) ინკლუზიური განათლების კოორდინატორის განაზღვრისა და სამუშაო (ისგ) ჯგუფის შექმნის შესახებ; ინდივიდუალური სასწავლო გეგმას საგნების მიხედვით, ისგ სხდომის ოქმებს და სსსმ მოსწავლის მიერ განხორციელებულ შემაჯამებელ/კომპლექსურ დავალებებს. სხდომის ოქმიდან (№ 2; 27/12/2022) ჩანს, რომ სსსმ მოსწავლეს წინსვლა აქვს სწავლაში. სასკოლო გეგმით განსაზღვრული წრეობრივი და კლუბური მუშაობა, დამრიგებლის მეთვალყურეობით განხორციელებულია დამატებითი გაკვეთილები მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, დაიკმაყოფილონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ინტერესები და გაიუმჯობესონ აკადემიური მოსწრება. ამრიგად, სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი პროგრამები უზრუნველყოფს მოსწავლეს, სწავლებისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმა • სადამრიგებლო პროგრამა • ინკლუზიური განათლების დებულება და პროგრამა • სსსმ მოსწავლის პორტფოლიო • ისგ სხდომის ოქმები • გასაუბრება სასკოლო საზოგადოებასთან
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის, მე-5 თავით განსაზღვრული შეფასების სისტემა მოიცავს: მოსწავლის შეფასების მიზნებს, პრინციპებს, ამოცანებს, შეფასების ტიპებს, კომპონენტებს, აკადემიური მიღწევის დონეებს, კლასის და საფეხურის დაძლევის ბარიერებს, განმსაზღვრელი შეფასების ქულათა სახეობებს, ქულების გაანგარიშების წესს, გამოცდის ტიპებს და მოსწავლეების აკადემიური მიღწევების აღიარებას. სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი ტიპის შეფასებებს. კომპლექსური დავალების შეფასების დროს, ასევე გამოიყენება სოლო ტაქსონომია. განსაზღვრულია კლასისა და საფეხურის დაძლევის მინიმალური ბარიერი (5.0 ქულა), საშემოდგომო გამოცდის ჩატარების წესი. სემესტრის მანძილზე მოსწავლეები შეფასდებიან სამი კომპონენტის მიხედვით: საშინაო დავალება, საკლასო დავალება, შემაჯამებელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დავალება. სამივე კომპონენტს ერთნაირი წონა აქვს . წლიური გამოცდა 2022-2023 სასწავლო წელს არ არის დაგეგმილი. სსგ-ს დანართს წარმოადგენს შემაჯამებელი დავალებების მინიმალური რაოდენობა კლასების მიხედვით. გაცდენის შემთხვევაში ხდება შემაჯამებელი დავალების აღდგენა წინასწარ განსაზღვრული წესისა და ვადების მიხედვით. ვიზიტის დროს სასკოლო გეგმაში გაიწერა სემესტრის განმავლობაში სხვა სკოლიდან გადმოსული მოსწავლისთვის შემაჯამებელი დავალებების ჩატარების წესი. შემაჯამებელი დავალებების ანალიზი წარმოდგენილია, როგორც კათადრების მიერ შემუშავებული ფორმებით, ასევე სქულბუქის ექსელის ფაილით. კათედრის ანალიზის ფორმებში მასწავლებლები კომენტარის სახით აღწერენ მოსწავლის შედეგების გასაუმჯობესებელ ღონისძიებებს. მთელი კლასის შედეგების ანალიზის შემდეგ კეთდება დასკვნა და გაიცემა რეკომენდაციები. სქულბუქის ანალიზის ფორმა გრაფიკული სახით აღწერს კლასის საერთო შედეგს, მასწავლებლის მიერ გაკეთებული დასკვნა ზოგადი ხასიათისაა. სკოლაში ტარდება სხვადასხვა ტიპის შემაჯამებელი დავალებები. კერძოდ, ტესტური, ექსპერიმენტალური სამუშაო, ტექსტის ანალიზი, კომპლექსური დავალება, ესეს დაწერა და სხვა. საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ წლის განმავლობაში დაგეგმილია ორი კომპლექსური დავალების განხორციელება. მასწავლებლები ძირითადად იყენებენ კომლექსური დავალებების ბანკით წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს, თუმცა ზოგიერთი პედაგოგი (ქიმიის, ინგლისურის მასწავლებლები) ცდილობს თავად შექმანს ან მოდიფიცირება გაუკეთოს უკვე შექმნილ კომპლექსურ დავალებებს, სადაც გათვალისწინებული იქნება მოსწავლის წინარე ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის წინასწარაა ცნობილი შემაჯამებელი დავალებით თემა და შეფასების კრიტერიუმები. სასკოლო სასწავლო გეგმით წარმოდგენილი მოსწავლის შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმა • მასწავლებლებთან გასაუბრება • კათედრის პორტფოლიოები
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შინაგანაწესის 38-ე მუხლი არეგულირებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესს. მშობლის უფლებაა მასწავლებლისაგან მოითხოვოს ინფორმაცია საკუთარი შვილის აკადემიური მოსწრებისა და შეფასების შესახებ. სკოლაში მშობლისათვის დაწესებულია „მშობლის დღე“_ ყოველი პარასკევი 14:00 საათიდან 16:00 საათამდე, ასევე სადამრიგებლო პროგრამით განსაზღვრულია შვილის აკადემიური მოსწრების გაცნობის ფორმა- ინდივიდუალური შეხვედრები. მშობლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს ელექტრონული ჟურნალის დადებით როლი საკუთარის შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირების საქმეში. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის მიზნით სკოლაში შექმნილია მშობელთა სათათბირო. სათათბირო არის მშობელთა წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც აერთიანებს სკოლის მოსწავლეთა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს საფეხურების მიხედვით. გამსაზღვრულია სათათბიროს მიზნები და ამოცანები: • მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების შესაბამისი მოთხოვნების უზრუნველყოფა; • მონაწილეობა მიიღოს სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში; • ერთობლივი პროექტებისა და ინიციატივების განხორციელება; • მშობელთა წარმომადგენლების ჩართვა გადაწყვეტილებების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	მომზადების პროცესში და მონაწილეობითი მართვის პრინციპების დანერგვა, დემოკრატიზაცია; • გაწეული სამუშაოების შესახებ (მიმდინარე საკითხები, სტრატეგიული გეგმები) ანგარიშის მოსმენა მშობელთა სათაბიროს სხდომის ოქმებიდან ჩანს, რომ მშობლები პედაგოგებს ეხმარებიან სასკოლო პროექტებისა და ღონისძიებების განხორციელებაში. მათ შეუძლიათ ინიციატივით მიართონ სკოლის დირექცია.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის შინაგანაწესი • სადამრიგებლო პროგრამა • ინტერვიურება მშობლებთან • მშობელთა სათათბიროს დეულება • სათათბიროს სხდომის ოქმები • სკოლის ვებგვერდი
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისათვის სკოლაში გამოიყენება შემდეგი მექანიზმები: 1.ფოკუს ჯგუფი მასწავლებლებთან: ა) სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საათობრივი განაწილების შეფასება. ბ) შემუშავებული შეფასების რუბრიკების შეფასება სწავლის პროცესში. გ) გამოყენებული სახელმძღვანელოების/რესურსების შეფასება. დ) სადამრიგებლო თემატიკის შეფასება. ე) შემაჯამებლის რაოდენობის შეფასება. 2. კათედრების მიერ წარმოდგენილი შემაჯამებლების ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	შეფასება. 3. მოსწავლეთა შედეგების ანალიზი. ხარისხის მართვის მენეჯერმა გასაუბრების დროს აღნიშნა, რომ სკოლაში წინასწარ შემუშავებული კითხვარებით ტარდება მოსწავლეთა, მშობელთა და მასწავლებელთა გამოკითხვა. გამოკითხვის შედეგების ანალიზის გათვალისწინება ხდება შემდგომ საქმიანობაში, რაც უზრუნველყოფს გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრასა და სასკოლო სასწავლო გეგმის გაუმჯობესების გზების დასახვას. გარდა გამოკითხვებისა, სკოლაში ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, გამოცდილების გაზიარება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზები წინასწარ შემუშავებული ფორმების საშუალების. მასწავლებლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ სკოლის კათედრების შეხვედრებზე მუდმივად განიხილება სასწავლო პროცესის გაუმჯობესების გზები/საშუალებები და სასკოლო სასწავლო გეგმაში მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელების თაობაზე წინადადებები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა მექანიზმები; • ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების უზრუნველყოფა • ხარისხის მართვის მენეჯერის სამოქმედო გეგმა 2022 -2023 • სკოლის დირექტორის მოადგილის 2022-2023 წლის პირველი სემესტრის ანგარიში • საგაკვეთილო პროცესის მონიტორინგის განრიგი • შემუშავებული კითხვარები • კითხვარების ანალიზი
შეფასება:	**☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** **☐ ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	სასურველია სკოლამ ცალკე დოკუმენტად შეიმუშავოს მშობლებთან ურთიერთობის დებულება.
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

2. მატერიალური რესურსი

2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის:
ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: 1445 კვ.მ მიწის ფართზე არსებული 730,7 კვ.მ. შენობა-ნაგებობები
დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მომავლის ბიზნეს სკოლა მდებარეობს ქ. ზესტაფონში, გურამიშვილის ქ.№32. საჯარო რეესტრის ამონაწერით სკოლასა და აღნიშნულ მისამართზე განთავსებული შენობის მეპატრონეს შორის გაფორმებულია უვადო იჯარის ხელშეკრულება. საიჯარო ქონების მახასიათებლებია: საკადასტრო კოდი-32.10.35.057 მიწის ნაკვეთის ფართობი: 1445კვ.მ მისამართი: ქალაქი ზესტაფონი, გურამიშვილის ქუჩა N 32 შენობა -ნაგებობების ჩამონათვალი: N1 -683.1კვ.მ., N2 - 247.5კვ.მ. , N3 - 47.6კვ.მ., N4 ; სკოლა იყენებს N1 (683.1კვ.მ.) ორსართულიანი შენობას, სადაც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი და N3 (47.6კვ.მ.) შენობა-ნაგებობა- განთავსებულია ცენტრალური გათბობის სისტემები. სულ სკოლისთვის განკუთვნილია -730,7 კვ.მ. ფართის შენობა-ნაგებობა. აღსანიშნავია, რომ საავტორიზაციო მასალებში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით (23/06/2023), სკოლის მისამრთია ქ. ზესტაფონი, გურამიშვილის ქ. N 36, ხოლო დაწესებულების თვითშეფასების კითხვარში, სკოლის ვებგვერდზე, სამეწარმეო ამონაწერში, სკოლის მისამართია ქ.ზესტაფონი, გურამიშვილის 32. სკოლის მისამართის დასაზუტებლად, საჯარო რეესტრში ვიზიტის პერიოდში გაკეთდა განაცხადი და გასწორდა საჯარო რეესტრის ტექნიკური ხარვეზი.
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქი ზესტაფონი, გურამისვილის ქუჩა N32
მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი	32.10.35.057
კვ.მ.	1445კვ.მ მიწის ფართზე არსებული 730,7 კვ.მ. შენობა- ნაგებობა
მტკიცებულებები/ინდიკატორები	• ამონაწერი სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურდიული პირების რეესტრიდან. • ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882023129016, ; მომზადების თარიღი-17/02/2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ამონაწერი საჯარო რეესტრიდან: N 882022457230 ; მომზადების თარიღი-23/06/2022 • იჯარის ხელშეკრულება 01/07/2017 • შენობის აზომვითი ნახაზი • სკოლის ვებგვერდი • ვიზუალური დათვალიერების შედეგები
შეფასება	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში სულ 13 საკლასო ოთახია. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლას არ ჰყავს მე-10 კლასი, ხოლო პირველი კლასი წარმოდგენილია ორი პარალელური ჯგუფით. კლასში მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განსაზღვრულია 17 მოსწავლით. საკლასო ოთახები აღჭურვილია 220 მოსწავლის საჭიროებაზე მორგებული ერთადგილიანი მერხით და შესაბამისი რაოდენობის სკამით, მასწავლებლის მაგიდებით და სასკოლო დაფებით. სასწავლო მიზნების განხორციელებისთვის შენობაში არის ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, დირექტორის კაბინეტი, სასადილო და სპორტული დარბაზი, რომელიც ასევე ასრულებს სააქტო დარბაზის ფუნქციას. სკოლის ეზოში მოწყობილია ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. ვიზუალური დათვალიერებით და სკოლის მიერ წარმოდგენილი საბუღალტრო დოკუმენტებით სკოლის მფლობელობაშია: 220 ინდივიდუალური მერხი და სკამი, 17 კომპიუტერი, პრინტერი და15 სასკოლო დაფა. საკლასო ოთახებში განთავსებულია მიზნობრივი სასწავლო რესურსები, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და კომპიუტერული კლასი აღჭურვიალია შესაბამისი ინვენტარით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საკლასო ოთახების რაოდენობა და მათში განთავსებული მერხები და სკამები სრულად უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოთხოვნილი რაოდენობის საჭიროებების დაკმაყოფილებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერებით • შენობის შიდა აზომვითი ნახაზით • მატერიალური რესურსის შესყიდვის დოკუმენტაცია • მიღება-ჩაბარების აქტები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ეზოში მოწყობილია 128 კვ.მ ფართის ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედანი. შენობის პირველ სართულზე არის სპორტული აქტივობებისთვის განკუთვნილი სივრცე (69.2 კვ მ), სადაც განთავსებულია ტენისის მაგიდა. სკოლას აქვს შემდეგი სპორტული ინვენტარი: სხვადასვა ტიპის და ზომის ბურთები, ჭადრაკის დაფები, კეგლი, სახტუნაო და სხვა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • გასაუბრება სპორტის მასწავლებელთან • სპორტული ინვენტარის შეძენის და მიღების დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, სადაც ქიმიის, ფიზიკისა და ბიოლოგიის ლაბორატორიული აღჭურვილობა განთავსებულია ცალ-ცალკე კარადებში. ლაბორატორიაში დგას დიდი სადემონსტრაციო მაგიდა, დამონტაჟებულია სველი წერტილი. ლაბორატორიას აქვს დიდი ფანჯარა, რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	უზრუნველყოფს ოთახის განიავებას. ვიზიტის დროს, უსაფრთხოების მიზნით კარადებს გაუკეთდა საკეტები. ყველა ქიმიურ რეაქტივს აქვს თავისი დასახელება და შენახულია უსაფრთხოდ. აღსანიშნავია, რომ ლაბორატორიული სამუშაოს შესრულების შემდეგ, ხდება შესრულებული დავალების შესახებ ოქმების მომზადება, სადაც გაწერილია გამოყენებული ქიმიური რეატივების რაოდენობა, ქიმიური ცდების მიმდინარეობა და კვლევის შედეგები. საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებში განთავსებული რესურსები შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 9/08/2022 წლის "ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მატერიალური რესურსის პარამეტრების თაობაზე რეკომენდაციების დამტკიცების შესახებ" N572 ბრძანებით განსაზღვრულ ჩამონათვალთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ხელშეკრულება-შპს ჯეო დეკორთან 12/01/2017 • გასაუბრება ქიმიის მასწავლებელთან
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელი გარემო. ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. სკოლას ელექტროენერგია მიეწოდება უწყვეტად, საჭიროების შემთხვევაში ხდება გენერატორის კვებაზე ავტომატურ რეჟიმში გადართვა. შენობის პირველ სართულზე განათავსებულია 6-6 განყოფილებიანი სველი წერტილები ბიჭებისთვის, გოგონებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	და სსსმ მოსწავლისთვის (ბიჭებისთვის და გოგონებისთვის ცალ-ცალკე)
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • კომუნალური გადახდის ქვითრები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. წიგნადი ფონდი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. წიგნები აღრიცხულია როგორც ელექტრონულად, ისე საინვენტარო წიგნში. ბიბილიოთეკაში მოქმედებს წიგნების მოძრაობის ფორმულარები. წიგნები თაროებზე განთავსებულია ანბანურად და თემატურად. ბიბლიოთეკაში არის ინტერნეტ-ქსელში ჩართული ერთი ლეპტოპი. ბიბლიოთეკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის ბიბლიოთეკარი, რომლის ფუნქციები და მოვალეობები გაწერილია ბიბლიოთეკის დებულებაში. სკოლის დირექტორის განმარტებით ყოველი წლის დასაწყისში ბიბლიოთეკის შევსება ხდება ახალი გრიფირებული წიგნებით და კათედრების მიერ შერჩეული სხვადასხვა დამხმარე რესურსებით. კლასების მიხედვით სრულადაა წარმოდგენილია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძრვანელოები. სკოლის ბიბილიოთეკის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და წიგნადი ფონდის შევსება განსზღვრულია სკოლის სტრატეგიული გეგმით.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საბიბლიოთეკო საინვენტარო წიგნი • ვიზუალური დათვალიერება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ინტერვიურება სკოლის დირექტორთან • ინტერვიურება ბიბლიოთეკართან • წიგნების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ინკლუზიური განათლების პროგრამაში მოცემულია სსსმ მოსწავლისთვის ადაპტირებული გარემოს მოწყობის შესახებ ინფორმაცია. კერძოდ, სკოლს აქვს ადაპტირებული შესასვლელი - პანდუსი, აგრეთვე პირველ სართულზე განთავსებულია საკლასო ოთახი, ბუფეტი, ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული კლასი, სააქტო დარბაზი, მცირე ზომის სპორტული დარბაზი, დირექტორის კაბინეტი, სამასწავლებლო და ადაპტირებული ორი სველი წერტილი ბიჭებისა და გოგონებისთვის. სკოლას ჰყავს ერთი სსსმ მოსწავლე, რომელიც არ საჭიროებს ფიზიკური გარემოს ადაპტირებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ინკლუზიური განათლების პროგრამა • ინკლუზიური განათლების დებულება
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განსახორციელებლად სკოლას აქვს ინტერნეტში ჩართული 2 პერსონალური კომპიუტერი და 15 ლეპტოპი, მათ შორის 12 ლეპტოპი განთავსებულია ისტ-ის კაბინეტში. სკოლას აქვს 1 პრინტერი და 1 პროექტორი. სკოლაში დამონტაჟებულია WI-FI -ს სისტემა, რაც უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ლეპტოპების ინტერნეტით უზრუნველყოფას. სკოლის ვებგვერდზე- fbs.edu.ge _ განთავსებულია: დაწესებულების ისტორია, მისია, სტრუქტურა, მარეგულირებელი დოკუმენტები, სკოლის გუნდი, მოსწავლეები, მშობელთა სათათბირო, სიახლეები, კლუბები, საკონტაქტო ინფორმაცია და ელექტრონული ჟურნალი. სკოლას აქვს facebook გვერდი, ელ. ფოსტა- fbs.edu.ge@ gmail.com და ელ. ჟურნალი SCHOOLBOOK. ინტერნეტ მიწოდებას უზრუნველყოფს შპს ,,ახალ ქსელები“, ჰოსთინგი/დომეინის ხელშეკრულება გაფორმებულია -Proserv-სთან
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის ვებგვერდი- fbs.edu.ge • ელექტრონული ფოსტა -fbs.edu.ge@gmail.com • ფეისგუქგვერდი https://futurebusinessschool.ge/ • ვიზუალური დათვალიერება • ვებგვერდის და ჰოსტინგის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	
ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულების შენობაში, განთავსებულია 4 ცეცხლმაქრი და გასასვლელის მიმართულების მაჩვენებელი ნიშნები. ასევე სკოლას დამტკიცებული აქვს შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების გეგმა, რომელიც შეთანხმების პროცესში იყო საქართველოს შსს სდდ – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლის შენობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმება განხორციელდა 2019 წლის 16 ოქტომბერს. როგორც სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის №1673 მიწერილობიდან, ჩანს სკოლის შენობის მეორე სართულისთვის უნდა მოეწყოს სათადარიგო გასასვლელი. სკოლის დირექტორის განმარტებით, პანდემიის პირობებში ვერ მოხერხდა შენობის სათადარიგო გასასვლელით უზრუნვეყოფა. უკვე მიმდინარეობს აღნიშნული საკითხზე მუშაობა, მოხდა ფინანსური დაანგარიშება. სტრატეგიულ გეგმაში გაიწერა შესაბამისი ღონისძიებების ვადები და პასუხსმგებელი პირები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • საბუღალტრო დოკუმენტაცია. • საგანგებო სიტუაციებზე მზადყოფნის და რეაგირების გეგმა • შრომის უსაფრთხოების სისტემის მართვის გეგმა • დირექტორთან ინტერვიურება • სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიწერილობა №1673

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	• ცეცხლმაქრების გადამუხტვის დოკუმენტაცია-14/02/2023 • სტრატეგიული გეგმა • ბრძანება 01-07; 16/02/2023
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია
ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • საევაკუაციო გეგმების დამზადების დოგუმენტაცია
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლაში დასაქმებულია ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება. დაწესებულებამ წარმოადგინა ექთნის მიერ წარმოებული ჟურნალი მოსწავლეთა და პერსონალის მიმართვიანობისა და გახარჯული მედიკამენტების შესახებ. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის უზრუნველყოფად სკოლის მეორე სართულზე მოწყობილია სამედიცინო კაბინეტი. სამედიცინო კაბინეტში განთავსებულია სამედიცინო ტახტი, წამლებისთვის და პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ინვენტარის კარადა, მაცივარი, სამედიცინო პერსონალის მაგიდა და სკამი. ვიზიტის დროს, სამედიცინო კაბინეტში არ იყო სველი სველი წერტილი და სამედიცინო ტახტი გამიჯნული არ იყო ოთახის დანარჩენი სიცრცისგან. სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტთა მიგნებები და ვიზიტის პერიოდში შეიძინა სველი წერტილის მოსაწყობად საჭირო ინვენტარი, სამედიცინო ტახტის გასამიჯნი ფარდა და გამოაცხადა ექიმის ვაკანსია. **<u>არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ფოტო და ვიდეო მასალა სამედიცინო კაბინეტში სველი წერტილის</u>**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	<u>დამონტაჟებისა და სამედიცინო ტახტის გამიჯვნის შესახებ.</u>
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ექთნის დებულება • ხელსაბანის კომპლექტის შეძენის ელ.ზედნადები-0722378082;16/02/2023
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას დამტკიცებული აქვს ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების“ შესაბამისი წესი, რომელიც შეთანხმებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სკოლის მიერ შემუშავებული უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი. • საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს კორესპონდენცია წესის შეთანხმების თაობაზე (წერილი-№ 211557; 13/01/2023)
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**
ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილია და კონტროლდება 17 ვიდეოკამერებით. სკოლის ეზოს შესასვლელში დამონტაჟებულია გამშვები დეტექტორი და მოქმედებს საბარათე სისტემა. შენობის შიდა სივრცის ვიდეოდათვალიერება ხდება კიბის უჯრედებში, დერეფნებში, ასევე პირველი და მეორე სართულის ფოიეში. სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებს 6 კამერა. გარე კამერების პარამეტრები შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვიზუალური დათვალიერება • ვიდეოკამერების შესყიდვი დოკუმენტაციით
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს წესდება, შინაგანაწესი და სკოლის დებულება. **წესდებით** განსაზღვრულია: სკოლის სახელი, იურიდიული მისამართი, საქმიანობის სფერო, საფინანსო წელი, სკოლის დამფუძნებლები, გადაწყვეტილების მიღების წესები, მართვის წესი, ფუნქცია-მოვალეობები, ლიკვიდაცია და დასკვნითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დებულებები. **სკოლის შინაგანაწესი** განსაზღვრავს: სამუშაო კვირის ხანგრძლივობას, სამუშაო და დასვენების დროს; სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმებს და ფარგლებს; შრომითი ურთიერთობის წარმოშობას, შეწყვეტას; შრომითი ურთიერთობის პირობებს; შრომის ანაზღაურების გაცემის, შვებულების ხანგრძლივობისა და მისი გაცემის წესებს; წახალისების ფორმებს; დასაქმებულთა და მოსწავლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობის წესებს; მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისა და სკოლიდან გადაყვანის პირობებს; დასაქმებულისა და მოსწავლის ჩაცმულობის წესს განაცხადის/საჩივრის განხილვის წესს; შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებულ ზოგად ინსტრუქციებს და დასკვნით დებულებებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. დებულებით განსაზღვრულია სკოლის სტრუქტურა და მართვა. გაწერილია თითოეული სტრუქტურის ფუნქციები. სკოლის დებულებას თან ერთვის სტრუქტურული ერთეულების დებულებები, რომლებიც არეგულირებს თითოეული სტრუქტურის მუშაობა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• წესდება • შინაგანაწესი • დებულება • დებულების დანართები
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან	სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ექვსწლიანი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. ექვსწლიან სტრატეგიულ გეგმაში (2023-2029 წლები) არ ჩანს სტრატეგიული მიზნები, სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია. <u>სკოლას მიეცა რეკომენდაცია სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს აუცილებელია მოხდეს სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებების მიხედვით, შემდგომში გრძელვადიანი მიზნები ჩაიშალოს ამოცანებად, განისაზღვროს პასუხისმგებელი პირები და ასევე შესრულების ინდიკატორები</u>, რათა სკოლას გაუმარტივდეს გაგება, შეძლო თუ არა მან ამა თუ იმ ამოცანის განხორციელება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ექვსწლიანი სტრატეგიული გეგმა; • ერთწლიანი სამოქმედო გეგმა; • SWOT ანალიზი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულებაში გამოცემული აქტებისა და კორესპოდენციების აღრიცხვას ახორციელეებს საქმისმწარმოებელი ,,საქმისწარმოების ერთიანი წესის“ შესაბამისად. შემუშავენულია საქმისწარმოების დებულება, სადაც გაწერილია საქმისწარმოების მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და საქმისმწარმოებლის მოვალეობები. საქმისწარმოების წესით განსაზღვრულია დოკუმენტების რეგისტრაცის წესები, ინდექსის მინიჭება და არქივის წარმოება. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს შემდეგ დოკუმენტებზე, რომლებიც აღირიცხება შესაბამის ჟურნალებში: • შემოსული დოკუმენტაცია • გასული დოკუმენტაცია • მოსწავლეთა ხელშეკრულებები • მასწავლებელთა ხელშეკრულებები • ხელშეკრულებები, მემორანდუმები • დირექტორის დანიშვნითი ბრძანებები (პედ. პერსონალი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ადმინისტრაცია და სხვა) • სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ბრძანებები (მოსწავლეთა მოძრაობა) საქმისწარმოების ჟურნალები იქმნება ახალი კალენდარული წლიდან. ყველა ჟურნალი დანომრილია, ზონარგაყრილია და დამოწმებულია დირექტორის ხელმოწერით და სკოლის ბეჭდით. სკოლაში გამოცემული აქტები და ოფიციალური წერილები ფორმდება სატიტულო ფურცელზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• საქმისწარმოების წესი • საქმისწარმოების დებულება • საქმისწარმოების ჟურნალები • საშტატო განრიგი
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ სტანდარტი დარღვეულია

3. ადამიანური რესურსი

3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	შპს მომავლის ბიზნეს სკოლას სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის ჰყავს შესაბამისი აკადემიურ-ტექნიკური პერსონალი. სკოლაში სულ დასაქმებულია 36 თანამშრომელი, აქედან 27 მასწავლებელია, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საათობრივი ბადის სრულად დატვირთვას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ხარისხის მართვის მენეჯერი, ბუღალტერი, საქმისწარმოებელი, ფსიქოლოგი, სკოლის ექთანი, ბიბლიოთეკარი, აიტ სპეციალისტი, ტექნიკური მენეჯერი, დამლაგებელი. სკოლაში ექსპერტთა ვიზიტის დროს დაწესებულებამ გამოაცხადა კონკურსი ექიმის ვაკანტურ ადგილზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები და პირადი საქმეები; • eSchool-ის ბაზა; • შინაგანაწესი; • საშტატო განრიგი;
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ	
პედაგოგთა საერთო რაოდენობა	27
მოწვეული/მაძიებელი	2
უსტატუსო მასწავლებლი /მოწვეული	0/1
უფროსი მასწავლებლი	23
წამყვანი მასწავლებლი	1
მენტორის სტატუსი	-

3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლის მასწავლებლები შერჩეული არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებელთა პირად საქმეებში დევს დოკუმენტაცია მათი კვალიფიკაციისა და/ან მინიჭებული სტატუსების შესახებ, ასევე ცნობები: საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების კანონის“ 33-1 მუხლით განსაზღვრული „სქესობრივი თავისუფლებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ და ნასამართლეობის შესახებ. მხოლოდ რამდენიმე პედაგოგის პირად საქმეები არ იყო აღნიშნული ცნობები და ვიზიტის პერიოდში გაკეთდა განაცხადი ცნობების დამზადებაზე. წარმოდგენილი პირადი საქმეებისა და სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემების გადამოწმების მიხედვით სკოლას ჰყავს: 1 წამყვანი მასწავლებელი, 23 უფროსი მასწავლებელი, 2 მაძიებელი და 1 მოწვეული მასწავლებელი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• მასწავლებელთა პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი; • eSchool-ის ბაზა; • სკოლის წარმომადგენელთან გასაუბრება;
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	ექსპერტთა ვიზიტის დროს, შპს მომავლის ბიზნეს სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშევბული არ ჰქონდა ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი, თუმცა აღნიშნული საკითხები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესის მე-4 თავით. სკოლის დირექციამ ვიზიტის პერიოდშივე წარმოადგინა შემუშავებული წესი, რომელიც განმარტავს რეგულირების სფეროს, მოიცავს ინფორმაციას კონკურსის მიზნებისა და ამოცანების შესახებ, კონკურსის პრინციპების შესახებ. მასში აღწერილია კონკურსის გამოცხადების პროცედურა, კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების წარდგენის და კონკურსის ჩატარების პროცედურა, საკონკურსო კომისიის მიერ გადაწყევტეილების მიღების წესი და კონკურსის შედეგები. შინაგანაწესი განსაზღვრავს სკოლაში შრომით ურთიერთობებს და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	თანამშრომელთა მიღების წესს. სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება/გამოუცხდებლობის შეტყობინების წესს შვებულების ხანგრძლივობის, მიცემის წესს და შრომითი ურთერთობების შეჩერების მექანიზმებს. შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების ფორმები და მათი გამოყენების წესი. შინაგანაწესის მეშვიდე მუხლი აზუსტებს დისციპლინარული წარმოების წესს, დისციპლინურ გადაცდომებს და მისთვის გათვალისწინებული დისციპლინური სახდელების ჩამონათვალს. შინაგანაწესი განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. აღნიშნული წესები ასევე ასახულია თანამშრომლებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს აღნიშნული წესების გამჭვირვალობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• ვაკანტური ადგილის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადებისა და ჩატარების წესი; • შინაგანაწესი; • შრომითი ხელშეკრულებები; • საშტატო განრიგი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	დაწესებულების ყველა თანამშრომელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც შედგენილია საქართველოს შრომის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ზოგადი დებულებები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, სამუშაო ადგილი, სამუშაო დრო და დასვენების დრო, შრომითი ანაზღაურების ოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა პასუხისმგებლობის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, სხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	პირობები, მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო მასწავლებლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები სტატუსის მიხედვით, თუმცა წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულებაში არ იყო გათვალისწინებული ის ძირითადი მიმართულებები, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად. ვიზიტის დროს დაწესებულებამ მიიღო რეკომენდაცია ხელშეკრულების კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის თაობაზე, რის შემდეგაც წარმოადგინა დამატებითი შეთანხმება წამყვან მასწავლებელთან .
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• შრომითი ხელშეკრულებები; • შინაგანაწესი; • პირადი საქმეები; • შრომითი ხელშეკრულებების რეგისტრაციის ჟურნალი.
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები	
ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	სკოლას შემუშავებული აქვს პროფესიული განვითარების პროგრამა. მომავლის ბიზნეს სკოლის პროფესიული განვითარების პროგრამა ითვალისწინებს სკოლის პედაგოგთა პროფესიულ ზრდასა და კარიერულ წინსვლას, რომელიც შეესაბამება „მასწავლებელთა განვითარების ეროვნული ცენტრის“ მოთხოვნებსა და სკოლის მისიას. პროფესიული განვითარების პროგრამას ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. პროგრამა ითვალისწინებს: 1) ხელი შეუწყოს თანამშრომელთა მონაწილეობას სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ მოწყობილ ტრენინგებსა და სემინარებში; 2) თანამშრომლების უზრუნველყოფას მეთოდური ლიტერატურითა და პერიოდული გამოცემებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

	3) სკოლის ბაზაზე ყოველწლიური სემინარების ჩატარებას სკოლის ყველა პედაგოგის მონაწილეობით; 4) საერთაშორისო კონტაქტების ფარგლებში მასწავლებლების გაგზავნას კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით; 5) მასწავლებელთა საგნის/პროფესიული გამოცდის პროგრამებში თანამშრომელთა მონაწილეობის ხელშწყობას. სკოლა ზრუნავს თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზეც, მზარეულმა გაიარა ჰასპის პროგრამის მომზადების კურსი. გაფორმებულია მემორანდუმი შპს ქი ქონსთალთინგთან, რომლის ფარგლებშიც მასწავლებლებს გავლილი აქვთ სხვადასხვა ტრენინგები. 2022 წლის 9 აგვისტოს „მომავლის ბიზნეს სკოლასა“ და იტალიის რესპუბლიკის აბრუცოს რეგიონის ქალაქ კასალბორდინოს „კულტურისა და ენების სკოლას“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობითი მემორანდუმი, რომლის მიზანს წარმოადგენს კულტურული და საგანმანათლებლო ურთიერთობების გაღრმავება. 2022 წლის 14 დეკემბერს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის კერძო სკოლების საქმისმწარმოებლებმა გამართეს სამუშაო შეხვედრა გამოცდილების გაზიარებისა და პროფესიული განვითარებისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• პროფესიული განვითარების პროგრამა; • სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრება; • პედაგოგებთან გასაუბრება. • საქმისმწარმოებლების სამუშაო შეხვედრის ოქმი-14/12/2022
შეფასება:	☒ **ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **ქვესტანდარტი დარღვეულია**

3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი	მომავლის ბიზნეს სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. აკადემიური აქტივობების პარალელურად ხორციელდება ღონისძიებები არაფორმალური განათლების მიმართულებით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობა, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს საშუალება ეძლევა მონაწილეობით გამოხატოს საკუთარი იდენტობა და გამოავლინოს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმი. კათედრები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, პედაგოგებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, ურთიერთდასწრება და გაკვეთილების შეფასება, სიახლეების გაზიარება და ერთმანეთთან თანამშრომლობა. ინტერვიურებისას ერთ-ერთმა ახალმა თანამშრომელმა დაწესებულების ძლიერ მხარედ დაასახელა სკოლაში დამკვიდრებული მიდგომა ახალგაზრდა კადრებისათვის ცოდნის გაზიარებისა და პროფესიულ წინსვლაში ხელშეწყობის მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მოსწავლეებიც და მშობლებიც ხაზგასმით საუბრობდნენ სკოლაში არსებულ პოზიტიურ და თანამშრომლობით ატმოსფეროზე. აღსანიშნავია, რომ კონკურენციის პირობებში, სკოლის ადმინისტრაცია ახერხებს კადრების შენარჩუნებას, რაც დიდწილად განპირობებულია სკოლაში არსებული ჯანსაღი თანამშრომლობითი გარემოთი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები:	• სასკოლო პროექტები და ღონისძიებების ანგარიშები და მათი ამსახველი ფოტომასალა • გასაუბრება მოსწავლეებთან • გასაუბრება მშობლებთან • გასაუბრება პედაგოგებთან • სკოლის ვებგვერდი • ვიზუალური დათვალიერება.
შეფასება:	☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.

რეკომენდაციები:	
რჩევები:	
ხარვეზები:	
სტანდარტის შეფასება	მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ **სტანდარტი დაკმაყოფილებულია** ☐ **სტანდარტი დარღვეულია**

● თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

XI. თანდართული დოკუმენტაცია

დასკვნის გვერდების რაოდენობა -49

თბილისი, 15.03.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა ----------

ბ.ა.